შპს ნიკორა
contact@nikora.ge
+995 32 269 55 50/51
საქართველო, თბილისი
0180, მ.ქავთარაძის ქ. #11
www.nikora.ge

№ LN24.03.2021-1

24. 03. 2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „ნიკორა" ს/კ 400132183 (სს „ნიკორას" ს/კ 200050675 ერთ-ერთი შვილობილი კომპანია), გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვებაში გეგმავს ინსინერაციის საწარმოს მოწყობას და ექსპლუატაციას. საპროექტო საწარმოში გათვალისწინებულია ნიკორა ჰოლდინგის შემადგენელი კომპანიების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების ინსინერაცია და მისი მოწყობა იგეგმება სს „ნიკორას" ს/კ 200050675 საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაში (ნაკვეთის საკადასტრო კოდია: 81.07.00.043).

შპს „ნიკორას" ს/კ 400132183-ის მიერ დაგეგმილი საქმიანობა განეკუთვნება, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" პირველი დანართის მე-16 პუნქტითა (სახიფათო ნარჩენების განთავსება, ინსინერაცია ან/და ქიმიური დამუშავება) და ამავე კოდექსის მე-2 დანართის 10.2 პუნქტით (ნარჩენების განთავსება) გათვალისწინებულ საქმიანობას.

ზემოაღნიშნული კოდექსის მე-5 მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული ისეთი საქმიანობების განხორციელებას, რომლებიც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, იგი უფლებამოსილია წარუდგინოს სამინისტროს საერთო სკოპინგის ანგარიში და მოითხოვოს ერთი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა ამ კოდექსის შესაბამისად.

იქიდან გამომდინარე, რომ ნიკორა ჰოლდინგის სახელით მოქმედები კომპანიების მიერ ადგილი ექნება როგორც არასახიფათო, ისე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას, რომლებიც განადგურებას დაექვემდებარება ერთი და იგივე ინსინერატორში, ერთი და იგივე ტექნოლოგიით, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაცია ტექნოლოგიურად ერთი და იგივე საქმიანობაა, ამიტომ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-14 ნაწილის გათვალისწინებით, მომზადდა საერთო სკოპინგის ანგარიში და სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ „ნიკორა ჰოლდინგის შემადგენელი კომპანიების ობიექტებზე წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის" სკოპინგის ანგარიშს.

დანართი:

1. სკოპინგის ანგარიში (ნაბეჭდი ვერსია) - 1 ეგზ.
2. საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით და სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია - 1 CD.

პატივისცემით,

მერაბ მამულაშვილი

შპს „ნიკორა"-ს დირექტორი

საქართველო, თბილისი, შპს „ნიკორა" GEORGIA, TBILISI, LTD "NIKORA" 400132183

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 5707
31 03 21
1/1/CD